

ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გასაშუალოებული რუკები (ხელახლა შედგენილი ბულგარეთის შეფასება მომზადებული MSFD-ის იმპლემენტაციაში, BSBD მონაცემები LBS-ზე და IO-BAS მონაცემები ნუტრიენტებზე შავი ზღვის ბულგარეთის წყლებში 2006-2012).

პროექტის აქტივობები

აქტივობა 1:

ცხელი წერტილების პოლიტიკის ჰარმონიზაცია

აქტივობა 2:

ცხელი წერტილების იდენტიფიკაცია, შეფასება და პრიორიტეზება

აქტივობა 3:

ცხელი წერტილების მონაცემთა ბაზა გადაწყვეტილებათა მიღებისა და საინვესტიციო დაგეგმვის მხარდაჭერისათვის

აქტივობა 4:

ექსპერტიზის სექტორის ამაღლება

აქტივობა 5:

საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნის გავრცელება, საზოგადოებრივი ცნობიერება და ხილვადობა

Activity 6:

ქმედებათა კოორდინაცია და მართვა

პარტნიორები

წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები: რუმინეთის ელექტული ინჟინერიის კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი, ICPE-CA, რუმინეთი;

TUBITAK-მარმარა კვლევითი ცენტრი, თურქეთი; ფონდი “კავკასიის ეკოლოგია – FCE, საქართველო;

ოკეანოლოგიის ცენტრი – უკრაინა /OC-NASU/ სევასტოპოლი უკრაინა;

ბურგასის მუნიციპალიტეტი, ბულგარეთი;

მდგრადი რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია – SuRDEP, ბულგარეთი;

Website: <http://www.bs-hotspots.eu/>



პროექტის ხანგრძლიობა

29.03.2013 – 28.03.2015

რეგიონული განვითარებისა და საჯარო ადმინისტრირების სამინისტრო; შავი ზღვის პროგრამის ერთობლივი მმართველი ორგანო; მისამართი: 12 ლიბერტატის გამზ. 040129, ბუქარესტი, რ-ნი 5 ფაქსი: +40 372 111 456 ელ.ფოსტა: blacksea-cbc@mdrt.ro

შავი ზღვის პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და თანამშრომლობის ინსტრუმენტით

პროექტის სახელწოდება: ცხელი წერტილების ინტეგრირებული მართვა და შავი ზღვის ცოცხალი ეკოსისტემის დაცვა. მასალის რედაქტორი: მასალის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები. გამოცემის თარიღი: აგვისტო, 2013 მასალის შინაარსი არ წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას



საერთო საზღვრები. ერთობლივი გადაწყვეტა



2.2.1.72761.225 MIS-ETC 2303

ცხელი წერტილების ინტეგრირებული მართვა და

შავი ზღვის ცოცხალი

ეკოსისტემის დაცვა

ცხელი შავი ზღვა

რუმინეთი

თურქეთი

საქართველო

უკრაინა

ბულგარეთი



პროექტის მთავარი მიზნები


პროექტის საერთო მიზნებია ხელი შეუწყოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ჰარმონიზებული პოლიტიკის განვითარებისათვის; ასევე სამეცნიერო კვლევების გამოყენებას შავი ზღვის აუზის არეალში მიწისზედა დაბინძურების წყაროებისა და ეკოლოგიური საფრთხეების მონიტორინგისათვის.

სპეციფიკური მიზნები

- მდინარეთა მონიტორინგის პროგრამის ჰარმონიზება
- ცხელი წერტილების იდენტიფიცირებისა და პრიორიტეზების ჰარმონიზება;
- ცხელი წერტილების სიის განახლება ერთობლივი მეთოდოლოგიის საფუძველზე;
- მონაცემების/ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტების უზრუნველყოფა ცხელი წერტილების მენეჯმენტისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად;
- კომპეტენციის გაზიარება ცხელი წერტილების მართვის შესაძლებლობების გაზრდისათვის;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა ცხელი წერტილებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები

შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო 4 პრიორიტეტული პრობლემა: ევტროფიკაცია/ნუტრიენტების დაგროვება, ზღვის ცოცხალი რესურსების ცვლილება, ქიმიური დაბინძურება (ნავთობის ჩათვლით) და ბიომრავალფეროვნების/ჰაბიტატების ცვლილება უცხო სახეობების ინტროდუქციის ჩათვლით.



შავი ზღვის ცხელი წერტილების რუკა

მიწისზედა დაბინძურების წყაროებისა და აქტივობების შესწორებული ოქმის მიხედვით ცხელი წერტილები ნიშნავს ლიმიტირებულ და განსაზღვრულ ლოკალურ მიწისზედა არეალებს, წყლების ზედაპირების მონაკვეთს ან სეციფიკურ წყლის სივრცეს, რომელიც ექვემდებარება ძლიერ დაბინძურებას და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას იმისათვის, რომ ავიცილოთ ან შევამციროთ ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებზე და ბუნებრივ რესურსებზე. დღეისათვის შავი ზღვის რეგიონში დაახლოებით 50 ცხელი წერტილია, რომელიც შეიცავს შავ ზღვაში ჩამავალ დაბინძურებულ მდინარეებს ზოგიერთი მუნიციპალური და სამრეწველო ჩამდინარე წყლების წყაროებით ან ზოგიერთი ატმოსფერული გაფრქვევებს http://www.blacksea-commission.org/od_LBSAProtocol.asp



სევასტოპოლის ყურე უკრაინაში დღემდე განიცდის ძლიერ ანტროპოგენულ ზემოქმედებას.

რუმინეთის შავი ზღვის სანაპირო ზონაში ნავთობის გადამუშავება, სამხედრო-საზღვაო მშენებლობა, სამშენებლო მასალების წარმოება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნარჩენების წყაროებია. სხვა მნიშვნელოვანი დამაბინძურებლები მდინარე დუნაით ჩაედინება ზღვაში.

თურქეთის შავი ზღვის სანაპირო არეალი ბინძურდება სხვადასხვა წყაროებით. პროვინციების უმრავლესობა, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს ზონის გასწვრივ ჩამდინარე და მყარ ნარჩენებს ყოველგვარი კონტროლის გარეშე უშვებს ზღვის სანაპირო არეალში.

საქართველოში, კოლხეთის ეროვნული პარკის სილაძაზე პალიასტომი განიცდის ევტროფიკაციას და წყლების "აყვავილებას". ამას განაპირობებს პალიასტომის ირგვლივ სასოფლო სამეურნეო სავარგულებიდან და საოჯახო ფერმებიდან დიდ რაოდენობით ნუტრიენტების ჩადინება.



მყარ ნარჩენების არეალი მელენ სტრიმთან

უკრაინაში შავი ზღვის სანაპირო ზონა განიცდის სხვადასხვა ანთროპოგენულ ზეწოლას, რაც უფრო ვლინდება პორტების ირგვლივ, მდინარეთა ესტუარიებში და დიდი ქალაქებში ინდუსტრიული და მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამო.

ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროზე წყლების ეკოლოგიური სტატუსი მერყეობს ცუდი კატეგორიიდან საშუალო ხარისხამდე ისტორიული მემკვიდრეობით მიღებული არასათანადო მართვის გამო. 2006–2013 წწ. სანაპიროს სამხრეთი აღმოსავლეთი უკეთეს ეკოლოგიურ მდგომარეობაში.



ჰიპერ-ევტროფირებული პალიასტომი შავი ზღვის სანაპიროზე

რატომ არის საჭირო ეს პროექტი

შავი ზღვის სახელმწიფოები იზიარებენ სერიოზულ საფრთხეს ზღვისა და სანაპირო რაიონებისათვის მიწისზედა ჩამდინარე წყლებით დაბინძურების შედეგად. ქმედებები ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე თავიდან აიცილონ ან მართონ დაბინძურება საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას. ეს პროექტი წარადგენს ინსტრუმენტებს ამის განსახორციელებლად და ცოცხალი შავი ზღვის შესანარჩუნებლად.